

სიონის დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის (1720-1780 წწ.) მიერ გადწერილი და მოხატული წიგნების მხატვრული დაჯგუფება და მიზნობრივი აქცენტები

NIKOLOZ MIKADZE, (ARCHPRIEST OF SION CHURCH IN TBILISI 1720-1780) ARTISTIC GROUPING AND PURPOSEFUL ACCENTS OF TRANSCRIBED AND PAINTED BOOKS

როსტომ კაჭახიძე საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Rostom Kachakhidze Shota Rustaveli Theater and Film University

<https://orcid.org/0009-0005-2499-5457>

საკვანძო სიტყვები: სიონი, ხელნაწიხი, მინიატიურა

Keywords: Sioni, manuscript, miniature

ABSTRACT

The aim of the study is to present the artistic work of Nikoloz Mikadze, Archpriest of the Tbilisi Zion Cathedral, as a miniaturist and designer of handwritten books, providing a complete retrospective by examining his creative output. The study includes a thematic grouping of manuscripts painted by him, which reveals the deliberate artistic choices in his fine creations from an artistic perspective. The relevance of the issue lies in the frequent discussion of Archpriest Nikoloz Mikadze's work in academic spaces, where his contributions are typically studied from philological and liturgical perspectives. However, no one has yet explored Nikoloz as a calligrapher, an artist of handwritten books, and an illustrator. The scientific novelty of this study lies in the chronological observation of the manuscripts he copied. It shows that Nikoloz's artistic activity gradually diminished over time—the enthusiasm for manuscript painting that characterized his youth began to fade. I believe this shift was influenced not only by the difficult historical conditions and the demands and challenges of his patrons but also by his active involvement in printing, which illustrates the collaborative relationships between calligraphers and the newly established printing houses of the 17th and 18th centuries, based on specific examples. The research methods involved a comparative analysis of the works of Archpriest Nikoloz Mikadze, highlighting his artistic goals as an 18th-

century miniaturist. His work shows a closeness to both European and Georgian Christian painting, revealed through artistic-stylistic analysis. His creations feature traditional forms, with a synthesis of Georgian-Eastern elements in some instances and a vibrant, bold color palette in others. In certain cases, his illustrations reflect a deep understanding of the text's content. When writing Asomtavruli, Khutsuri, or Mkhedruli texts, Nikoloz avoids overly binding letters or overloading them with ornamental decoration. In this respect, he is very moderate and prudent, as the books he transcribed were mainly of religious content and used during worship, often read by candlelight at different times of the day and night. Therefore, each letter needed to be clearly distinguishable so as not to hinder the reader during the service. As a result of studying the manuscripts transcribed by Nikoloz, three groups of manuscripts can be distinguished based on their artistic decoration. All of these manuscripts are preserved at the National Center of Georgian Manuscripts named after Korneli Kekelidze: 1. Manuscripts that are unpainted, where the decorative system consists only of singular decorations of the paragraphs and upper letters. 2. Manuscripts that feature black-and-white, graphic, headpiece decorations, analogous to the decoration style of books printed at the Vakhtang VI printing house.

წინამდებარე კვლევის მიზანია თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის მხატვრული შემოქმედების, როგორც მინიატიურისტის და ხელნაწერი წიგნის გამფორმებლის სრულყოფილი რეტროსპექციით წარმოჩენა მისი შემოქმედების შესწავლის მაგალითზე. მის მიერ მოხატული ხელნაწერების თემატური დაჯგუფება, რაც ცხადყოფს

მისი სახვითი შემოქმედების მიზნობრივ აქცენტებს მხატვრული თვალსაზრისით და ამავედროულად შეავსებს XVIII ს.-ის ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრულ ოსტატთა კორპუსს მათი შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით.

დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის შემოქმედება სამეცნიერო სივრცეებში ხშირად გამხდარა კვლევის

საგანი, მისი ნაშრომები შესწავლილია როგორც ფილოლოგიურ, ისე ლიტურგიკულ ჭრილში, მაგრამ, სამწუხაროდ, ნიკოლოზზე, როგორც ხელნაწერ წიგნთა გამფორმებელზე და მხატვარზე ჩაძიებით არავის უსაუბრია. მისი კალიგრაფია საკმაოდ გამორჩეულია მის თანამედროვე ოსტატთა შორის, რაც თავისთავად, უკვე საყურადღებო ფაქტია. ნიკოლოზის მიერ გადაწერილი წიგნების გაცნობისას, მკითხველის თვალი არ იღლება, ნიკოლოზი თითოეულ ასოს გამოსახავს თითქოს „კალმის მძიმე დაჭირებით“²², რაც ასოებს უფრო მკვეთრსა და ადვილად ამოსაკითხს ხდის. ასომთავრული, ხუცური, თუ მხედრული ტექსტების წერისას იგი ერიდება ასოთა ბმას, ან ორნამენტებით გადატვირთულ გაფორმებას, ამ მხრივ იგი მეტად ზომიერი და წინდახედულია, რადგან ნიკოლოზის მიერ გადაწერილი წიგნები ძირითადად სასულიერო შინაარსის არის და დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში იკითხებოდა სანთლის ნათების ქვეშ ღვთისმსახურების დროს, ამიტომაც თითოეული ასო კარგად გასარჩევი უნდა ყოფილიყო და არ უნდა გამხდარიყო შემაფრეხებელი მსახურების დროს წიგნის მკითხველისთვის; ნიკოლოზი ფიქრობს არა მარტო ტექსტის შინაარსზე, არამედ შემდგომში მის მკითხველზეც. ბევრგან ტექსტს სადა, წვრილბოლიან ჩარჩოებში აქცევს, ბევრგან ჩარჩოებს ოქრომელნით მკრთალ ზოლსაც აყოლებს, ასევე ყველა ხელნაწერში, დასაწყისი საზედაო ასოები საძიებლები და აბზაცები სინგურით აქვს გამოყოფილი, რასაც შავი მელნით შესრულებული ტექსტის, გამშვენებისა და გახალისების ფუნქციის გარდა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. თავად, როგორც სასულიერო პირს ეს საკითხი კარგად ესმოდა და უმეტესად მის მიერ გადაწერილი ლიტურგიკული შინაარსის წიგნების გვერდებზე მხატვრულ დეკორაციას ტექსტის სწორხაზივნება, ხუცურ ასოთა კუთხოვანი მოყვანილობა, თითოეული ასოს მკვეთრი და ცხადი ფორმა, სანყისი ასოებისა და სასვენი ნიშნების სინგური ფერით აქცენტირება ქმნიდა.

მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის მიერ გადაწერილ ხელნაწერთა ქრონოლოგიური დაკვირვება, სადაც წარმოჩინდა, რომ ნელ-ნელა სუსტდება ნიკოლოზის მხატვრული აქტივობა - ისეთი მონდომება ხელნაწერების მოხატვისა, რაც მას ახალგაზრდობაში ჰქონდა დროდრო უკანა პლანზე ინაცვლებს; ვფიქრობ, ამის მიზეზი, გარდა რთული ისტორიული პირობებისა, მოუცლელობისა, დამკვეთთა ინტერესებისა და სიდუხჭირისა, იყო მისი აქტიური ჩართულობა სასტამბო საქმიანობაში, რაც XVII-XVIII სს.-ის კალიგრაფთა ახლადდაარსებულ სტამბასთან თანამშრომლობით ურთიერთობაზე მიგვიითხებს, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე.

ნიკოლოზის მიერ გადაწერილი ხელნაწერების შესწავლის შედეგად, მხატვრული გაფორმების მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ სამი ჯგუფი ხელნა-

წერებისა, თითოეული მათგანი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში:

1. ხელნაწერები, რომლებიც მოუხატავია და დეკორატიულ სისტემას მხოლოდ ტექსტის აბზაცებისა და საზედაო ასოების სინგური გაფორმება ქმნის: H-2121 სადღესასწაულო 1748წ., A-1399 ტიპიკონი (რუსულიდან თარგმნილი) 1758წ., A-1487 ტიპიკონი 1760წ., A-20 იოანე ოქროპირი - თარგმანება მათეს თავი სახარებისა 1764წ., H-1193 ლექსების კრებული 1766წ., Q-78 ანტონ I, მარტირიკა 1769წ.
2. ხელნაწერები, რომლებშიც მხატვრულ-დეკორაციული გაფორმების თვალსაზრისით ფერებით შესრულებულ თავ-ბოლოსამკაულებს და მინიატიურებს უჭირავთ წამყვანი ადგილი: H-1061 ლოცვანი 1742წ., A-347 ლოცვანი და საგალობელი 1743წ., H-601 დოგმატიკონი 1746 წ., Q-369 დაუჯდომელი 1747წ., A-1454 სადღესასწაულო, კრებული 1746წ.
3. ხელნაწერები სადაც შავ-თეთრი, გრაფიკული, თავ-ბოლოსამკაულები გვხვდება, რაც ვახტანგ VI-ის სტამბაში ნაბეჭდი წიგნების გაფორმების ანალოგს წარმოადგენს: შ-1295 კონდაკი 1731წ., A-1702 კრებული 1753წ., H-1246 მარგალიტი 1754წ., H-334 ლოცვანი 1756წ., H-656 საგალობლები 1768 წ., A-1191 გამოკრებული კურთხევანი 1772 წ., H-2234 ვრცელი ლოცვანი 1777 წ., H-2239 კონდაკი 1780წ.

ცხადი ხდება, რომ ნაბეჭდი წიგნის შექმნისთვის, ნიკოლოზისა და მისი თანამოღვაწე ცნობილი კალიგრაფების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა წიგნის მხატვრული დეკორის ისე შესრულება, რომ ვახტანგ VI-ის მიერ გამართული სტამბის ტექნიკური შესაძლებლობა გაეთვალისწინებინათ და გრავიურების შესაქმნელად მესტამბეებისთვის საქმე გაემარტივებინათ და დასაბეჭდად ტექნიკურად შესაძლებელი ყოფილიყო.

კვლევის მეთოდები (ქრონოლოგიური განხილვა, კომპაჩივისტული შესწავლა). პირველ ჯგუფში ჩამოთვლილი ხელნაწერები, როგორც აღვნიშნეთ, მოუხატავია და დეკორაციულ სისტემას მხოლოდ ტექსტის აბზაცებისა და საზედაო ასოების სინგური გაფორმება ქმნის. ეს დეკორაცია ტექსტს მიუყვება, იგი თავისთავადია და არა მიზანმიმართული მხატვრული გაფორმება, რაც წიგნის შინაარსობრივ-სტრუქტურული შემადგენლობის მიხედვით, გვერდებზე თავისთავად დალაგდა სინგურით გამოყოფილი სათაურებით და აბზაცებით. ასევე ხელნაწერთა პირველი ჯგუფის სიის ანდერძებიც ცხადყოფს, თუ ვისთვის და ვისი დაკვეთით იქმნებოდა ეს ხელნაწერები. დამკვეთები: სადღესასწაულო H-2121 - დამკვეთი - დოდოსრქის უდაბნოს წინამძღვარი სვიმეონი და შესწირა ამავე მონასტერს; ტიპიკონი A-1399 - დამკვეთი - ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე და შესწირა დავითგარეჯის უდაბნოს; ტიპიკონი A-1487 - დამკვეთი - ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე და შესწირა ბოდბის მონასტერს; იოანე ოქროპირის თარგმანება მათეს სახარებისა A-20 - დამკვეთი -

²² ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, გვ.180

ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე და შესწირა ბოდბის მონასტერს; ლექსების კრებული H-1193 - დამკვეთი - მეფე თეიმურაზი, საკუთარი ლექსების ერთ კრებულად აკინძვის მიზნით გადააწერინა ნიკოლოზს; მარტირიკა Q-78 - დამკვეთი - კათალიკოსი ანტონ I, რომელმაც თავისივე შედგენილი და კორექტირებული მარტირიკის საბოლოო ვერსია გადააწერინა ნიკოლოზს.

როგორც ჩანს, ამ ხელნაწერების უმეტესობა ლიტურგიკული შინაარსისაა და უდაბნოებისა და ბოდბის მონასტრების შიდა მსახურების საკითხავებს წარმოადგენდა, რომელიც მათ არ ჰქონდათ, ან განახლებას საჭიროებდა და ამ ხელნაწერების მხატვრული გაფორმება დამკვეთთა ინტერესის სფერო არ იყო, იმიტომაც არის მოკლებული მხატვრულ გაფორმებას, რომ დამკვეთებს დროულად მიეწოდებინათ ბერ-მონაზვნებისათვის და ამ წიგნების არქონა, არ ყოფილიყო მსახურების შეწყვეტის მიზეზი; ხოლო რაც შეეხება ორ ხელნაწერს: მარტირიკას Q-78 და ლექსების კრებულს H-1193, რომლის დამკვეთებიც მეფე თეიმურაზი და კათალიკოსი ანტონ I არიან და ამავდროულად ამავე წიგნების ავტორებიც, ნიკოლოზს შეადგენინეს ჩასწორებული ვერსიების ერთიანი კრებულები. ამრიგად, ნიკოლოზის მიერ გადაწერილ ხელნაწერთა ეს ჯგუფი, არ არის გათვლილი მდიდრული გაფორმებისთვის და არც სადღესასწაულო ხასიათის მატარებელია.

ნიკოლოზის მიერ გადაწერილ ხელნაწერთა მეორე დაჯგუფება, განსაკუთრებით საყურადღებოა მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, სადაც წიგნის მხატვრული კაზმულობის ყველა პრინციპი არის გამოყენებული: მინიატიურები, რომლებიც ზოგან ტექსტში ჩართული გვხვდება და ზოგან მთელი გვერდიც უჭირავს, თავ-ბოლოსამკაულები, მხატვრულად გაფორმებული საზედაო ასოები, წიგნის გვერდებზე ტექსტების განაწილების სხვადასხვა გეომეტრიული ფორმირებებით და სხვ.

მინიატიურებში ვხვდებით სხვადასხვა მხატვრულ სტილს, ვხედავთ ამ ეპოქისთვის დამახასიათებელ, მაგრამ ჯერ კიდევ უცხო, დაუმკვიდრებელ ფერადოვან პალიტრას: იასამნისფერის, ვარდისფერის, სალათისფერის, ყავისფერის, ნარინჯისფერისა და მჭახე ყვითლის ჰარმონიულ შერწყმას ოქროსფერთან, სინგურთან და მწვანე ფერებთან. გამოსახულებები ზოგან რეალისტური კონტურული მოყვანილობით ხასიათდება, ზოგან ფორმის უტრირებით არის კომპოზიციური შინაარსი გადმოცემული; ზოგ მინიატურაში სივრცის გადანყვეტის შესანიშნავი მაგალითებია წარმოდგენილი პირობითი პეიზაჟებითა და არქიტექტურული ფონის საშუალებით. თითოეული მათგანის მხატვრულ შესრულებაში, კონტურულ მოყვანილობაში, ფერის დადებასა და მცირე ფორმატზე კომპოზიციურ განაწილებაში იგრძნობა მხატვრის დიდი ნებისყოფა და ოსტატობა, რომელიც მინიატიურაზე დაკვირვების და ტექნიკური გააზრების შემდეგ ხდება ცხადი, მანამდე კი ტექსტის შინაარსის კომპოზიციური

განხატოვნება იშლება წიგნის მკითხველის თვალწინ. წმიდანთა და სიუჟეტური გამოსახულებებით შემკობილი ხელნაწერები შესრულებულია 1742-1747 წლების შუალედში, როდესაც ნიკოლოზი იყო 22-27 წლის, ეს მისი ცხოვრების ის ეტაპია, როცა ჯერ კიდევ არ არის აქტიურად ჩართული სასტამბო საქმიანობაში და მეტი დრო აქვს ასეთი სადღესასწაულოდ მორთული ხელნაწერების შესაქმნელად.

დღემდე შემორჩენილ ხელნაწერთა შორის, დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის მხატვრული შემოქმედების ერთგვარ გვირგვინს წარმოადგენს 1746 წელს გადაწერილი სადღესასწაულო A-1454 (07+467 ფურცელი; 32X22 სმ.), სადაც ტექსტს ერთვის ზომით და მცენარეული დეკორით ერთგვაროვნად მოჩარჩოებული 101 სასურათე არე, ყველა მათგანი ზომით 7X5,5-მ-ია და ერთიანობაში 140 წმიდანის გამოსახულება გვხვდება, უმეტესად ერთფიგურიანი, თუმცა ხშირად წმინდანთა დაჯგუფებული კომპოზიციებიც მრავლადაა. მხატვრობა, საეკლესიო წლიური საკითხავების კალენდარული ციკლის მიხედვით არის წარმოდგენილი. წლის მანძილზე, როდესაც ეკლესია განმეორებით იხსენიებს წმიდანს, ნიკოლოზიც იმეორებს წმიდანის გამოსახულებას, თუმცა განსხვავებული იკონოგრაფიით გვთავაზობს შესაბამის გვერდზე გადაწერილ ტექსტთან ერთად. სანამ ხელნაწერთა მესამე ჯგუფზე გავამახვილებთ ყურადღებას, მნიშვნელოვნად მიმაჩნია, სადღესასწაულოში გამოსახულ წმიდანთა ვრცელი სიის წარმოდგენა, რომელიც დღემდე არსად გამოქვეყნებულა და ზოგიერთი მათგანის იკონოგრაფიაც იშვიათობას წარმოადგენს, თუმცა მოხსენების ფორმატიდან გამომდინარე შემოგთავაზებთ წმიდანთა დასების დასახელებას: წმიდა წინასწარმეტყველები, მოციქულები, მახარებლები, მღვდელმთავრები, ღირსი და ღმერთშემოსილი მამები, მხედრები და მეომრები, მოწამე მამაკაცები, წმიდა დედები, მეუღბანოენი, უვერცხლო მკურნალები და მეფე-დედოფლები; იმავე ზომისა და ფორმის მოჩარჩოებითაა გარშემოწერილი როგორითაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ წმიდანთა გამოსახულება სიუჟეტური სცენებიც: პეტრეს ჯაჭვთა თაყვანისცემა 162r, წმიდა იოანე ნათლისმცემლის თავის I და II პოვნა 184v და წმიდა ათანასე დიდის ნაწილთა აღმოყვანება 200r, ასევე შეგვხვდა ხუთ და ათფიგურიანი გამოსახულებებიც ამავე ზომის მცირე ფორმატში წარმოდგენილი. მიუხედავად სასურათე არის უცვლელი ზომისა, კომპოზიციებში პირობითი სივრცულობა შეიმჩნევა და ფიგურები სტატიკურადაა წარმოდგენილი, თუმცა თითოეული მათგანი დამოუკიდებლად იკითხება, რაც ამგვარ მცირე ფორმატზე საკმაოდ რთული შესასრულებელია და მხატვრის მაღალ პროფესიონალიზმსა და განსწავლულობაზე მიუთითებს.

სადღესასწაულოს, გარდა მცირეფორმატიანი მინიატიურებისა, ერთვის საუფლო დღესასწაულთა და სახარებისეული სცენების 17, შედარებით მორბილი კომპოზიცია (11,5X8,5 სმ.), რომელთაც 250r-253v გვერდები უჭირავს, თითოეული გვერდი

მხოლოდ მხატვრობას ეთმობა და 4-4 მინიატიურაა განაწილებული, ხოლო 154r გვერდი მთლიანად უფლის ბრწყინვალე აღდგომას ეთმობა (23X16,5 სმ.): ამავე ხელნაწერში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოზრდილ, ორნამენტირებულ თავსამკაულებს, სადაც ზოდიაქოს ნიშნებია ჩართული.

კვლევის საბოლოო შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერის მხატვრული გაფორმება არ არის ბოლომდე დასრულებული და რამდენიმე გვერდზე დატოვებულია მოსახატად გამზადებული ადგილები, დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის მაღალი მხატვრული შესაძლებლობები ნათლად არის წარმოჩენილი, რაც ზემოხსენებულ ხელნაწერთა მესამე ჯგუფის მხატვრულ გაფორმებაში უგულვებელყოფილი და უფრო დეკორაციული ხასიათის მატარებელია. ამ ჯგუფის ხელნაწერები მთლიანად წარმოადგენენ გარკვეულ მულაჟებს, რომლებიც შემდეგ უნდა დაბეჭდილიყო - ანუ ნიკოლოზი მესტამბეებს უადვილებდა საქმეს და პირდაპირ ქმნიდა ისეთი სტრუქტურის წიგნს - ტექსტის გვერდებზე განაწილებითა და დასაბეჭდად უკვე აპრობირებული თავსამკაულებით, რომელიც არც რედაქტირებას მოითხოვდა და არც მხატვრული სისტემის მოსაფიქრებლად საჭიროებდა ბევრ დროს და მთლიანად ესადაგებოდა ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებული სტამბის ტექნიკურ შესაძლებლობებს. ამის დასტურად, ხელნაწერების ამ ჯგუფის ანდერძებიც საკამარისია - არცერთ მათგანს არ ერთვის ისეთი ანდერძი, რომელიც იხსენიებდეს საფასის გამღებ დამკვეთს, ან სხვა ისეთი შინაარსის მქონე ტექსტი იყოს დართული, სადაც ჩანს კონკრეტული პირი, ვისთვისაც ხელნაწერი საგანგებოდ გადაიწერა, განსხვავებით ზემოთ განხილული პირველი და მეორე ჯგუფების ხელნაწერებისა.

მესამე ჯგუფში, ერთი შეხედვით შეიძლება ქრონოლოგიას არღვევდეს კონდაკი S-1295, რომელის წერაც ნიკოლოზის პაპას, ოსეს დაუნყია და შესავსებად ორჯერ მიბრუნებია ნიკოლოზი - ერთხელ 1731 წელს, როცა ის 10-11 წლის ყოფილა და როგორც ამავე თარიღით დართული ანდერძიდან ვიგებთ, ეს მისი პირველი ხელრთვაა; გადაწერილი აქვს ზიარების წინა ლოცვა (66v), ეს ტექსტი წიგნის ბოლოსკენ არის ჩართული, ხოლო მეორეჯერ, 1761 წელს ჩაუწერია „განგება მწუხრისა“, რომელიც წიგნის დასაწყისშივეა, ანუ მოგვიანებით ჩაამატა ტექსტი აღნიშნულ კონდაკში: „ქრისტე შეიწყალე მჩხაბავი ამისი ცოდვილი და უღირსი დეკანოზი სიონისა ნიკოლოზ ჩიდა“ (9v), ის ერთადერთი მხატვრული შემკულობა, რომელიც სწორედ აქ გვხვდება წარმოადგენს ვახტანგის სტამბის თავსამკაულთა ერთ-ერთ დეკორს. ეს მოცემულობა ნათელყოფს იმ მოსაზრებას, რომელიც გამოვთქვი, მოხატულ ხელნაწერთა მესამე ჯგუფზე.

პირველ და მესამე ჯგუფებში არსებულ ხელნაწერთა ჩამონათვალი 1753-1780 წლებს მოიცავს, ეს მისი, შემოქმედებითი ცხოვრების ის აქტიური პერიოდაა, როდესაც იგი ვახტანგის სტამბის გულმოდგინე თანამშრომელია და აქვე, მამის - სიონის დეკანოზ, გაბრიელის საქმიანობას აგრძელებს.

დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის მიერ გადაწერილი უკანასკნელი ხელნაწერი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივში ინახება და მისი სიცოცხლის ბოლო 1780 წლით თარიღდება, არის კონდაკი H-2239, რომელშიც ნიკოლოზი ხაზგასმით აღნიშნავს, როგორც თავის კალიგრაფიულ, ასევე მისი თანამოღწეების პროფრსიონალიზმს და გამოთქვამს სურვილს, რომ მომავალი თაობის კალიგრაფებმა, უკეთესი თუ არა, ამდაგვარი ხელნაწერით მაინც გამოიჩინონ თავი: „მოიწესნეთ, რომელ ერთის გამოჭრილის კალმით დამიწერია, რომ არ გამომიცვლია კალამი და ჩვენდა შემდგომად ვინც ეს ასე მწერლობა ეცადინოს, საქებელ იყავნ.“ 18r. ბატონი ვახტანგ ბერიძე, თავის ნაშრომში „ძველი ქართველი ოსტატები“ აღნიშნავს, რომ „ნიკოლოზს თავისი ვირტუალური ტექნიკით თავი მოჰქონდა კიდეც“-ო²³, და არგუმენტად ამავე კონდაკის ანდერძი მოაქვს, ერთი შეხედვით ანდერძის ზოგიერთ მონაკვეთში ავტორის თავმოწონება შეიძლება ჟღერდეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონდაკი მისი სიცოცხლის ბოლო წლით თარიღდება და მას „თავი კი არ მოაქვს“, უბრალოდ გული სწყდება იმაზე, რომ მათ შემდეგ - ანუ მისი თაობის კალიგრაფების შემდეგ, ამ საქმიანობის ასეთი შემართებით გამგრძელები თითო-ოროლადა რჩება და ამას მხოლოდ მის უკანასკნელ ანდერძში აღნიშნავს, და მოუწოდებს მომავალ თაობებს: „ჩვენდა შემდგომად, ვინც ეს ასე მწერლობა ეცადინოს, საქებელ იყავნ“-ო. გარკვეულწილად, სიმბოლური დამთხვევაა, ის ფაქტი, რომ 10 წლის ნიკოლოზი კალიგრაფიულ მოღვაწეობას იწყებს სამღვდელო კონდაკის (S-1295) გადაწერით და სამღვდელო კონდაკშივეა (H-2239) მისი უკანასკნელი ხელრთვა შემორჩენილი.

ლიტერატურა

ბერიძე ვ. (1967). ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი.

კარიჭაშვილი დ. (1929). ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბილისი.

კურდღელაშვილი მ. (1959). ქართული სტამბის ისტორიიდან, თბილისი.

მენაბდე ლ. (1961). ძველი ქართული მწერლობის კერები, I, თბილისი.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი მცირე საეკლესიო ენციკლოპედია. (2005). თბილისი.

²³ ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, გვ.178